

# მწყემსი

საქართველო  
საქართველო



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 15

1883—1897

15 აგვისტო

### გ ა ჯ ე თ ი ს უ ა ს ი :

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთ . . . . . 3 მან.	12 თვეთ . . . . . 5 მან.
6 — . . . . . 2 —	6 — . . . . . 3 —

ჭულისა და წერილების გავზავნა შეიძლება ამ აღრესით: Вь Кириллск, въ рѣбанию „Михеи“ и „Пастыр“.


ჰველა სტატიები და კორესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებლად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

არ მოსკოზილა, მალოზა ღმერთს, და აღარც მოისკოზა!.

როდესაც საზოგადოება შედავს, რომ ჩვენ ეკლესიებში ასში მხოლოდ ორ-სამ ადგილას ვალობენ კიდევ მკალობელთა გუნდნი, როდესაც შედავ, რომ მედავითნეთა და საზოგადოდ ეკლესიის მოსამსახურეთა ძლიერ სუსტად იცინა ვალობა, მასთან კარგი მკალო-

ბლები თანდათან ვაკლდებიან და შესანიშნავ მცოდნე ზირებს ველარ შედვენ ერთი ორის მეტს, რასაკვირველია, იმედ დაკარგული ვველა ვაიძახის: „ვაი ჩვენი ბრალი, ვაქრა და მოისპო ჩვენი ტკბილი ეკლესიური ვალობა“... მართალია, ვაცს ვესმის კიდევ აქა-იქ სოფლებში მკალობელთა გუნდის ვალობა, მხურნამ, როდესაც ვარვად ვურს დაუგდებთ ამ ვალობას, ვული ვიწუხსთ და თქვენს თავს ვუბნებით: ეს




ქართული გალობა არ არის, ამისთანა გალობას რომ სულ არ იგალობონ, ის უმჯობესიაო... ზოგი იმისთანა კილოზე გალობს, რომ არაფერი ქართულის კილო არ ეტეობა. აიღეთ. მაგალითებო, ბ — ლის ქართული გალობა. ქართული გალობის მცოდნე კაცს იგი გულის შეუწუხებს და გალობის უცოდინარს კი მოსწონს ისე, როგორც ყოველი უბრალო სიმღერა და სმის წკრიალი...

ბეგრს კარგს ამბობდენ და იწერებოდენ ბ. ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებული ქართული გალობის შესახებ. მაგრამ არ გვეკონა სწორეთ, თუ ასე მშვენივრად იქნებოდა გადაღებული ჩვენი ეკკლესიური გალობის კილო და ისე დაატებობდა მსმენელის ყურთა სმენას, როგორც ეს ვიკრძენით ევრილის ეკკლესიაში 6 და 10 ამ ავვისტოს.

6 ავვისტოს ჩვენ გვთხოვეს ტაბაკინში მცხოვრებთ სამსონ მუძლაძემ, თვედორე და სარდიონ წითელაშვილებმა, რომ ნება მიგვეცა მათთვის გალობისა ეკკლესიაში, მათთან ერთად მოვიდა ლოტბარი ბ. ჯინჭველაშვილი, რომელმანც განაცხადა, რომ მან ასწავლა სსენებულ ჰირთ ბ. ფ. ქორიძის მიერ გადაღებულ ნოტებზე მთელი წირვის წესი და თვითონ ის ეეოლება მათ ეკკლესიაში ხელმძღვანელად. მე ნება მივეცი. მათ იგალობეს წირვაზე. უნდა განვაცხადო, რომ არასოდეს ქართულ გალობას ჩემი გული და ყურთა სმენა არ დაუტკობია ისე, როგორც ზემოხსენებულ ჰირთა გალობამ. ამათმა მშვენიერმა გალობამ მე მომაგონა ის მგალობლები, რომელნიც გალობდენ დავით მიტროპოლიტის და ძველი მღვდელთ-მთავრების დროს და რომელთა გალობა დღესაც შთაბეჭდილია ჩემს ყურთა სმენასა და გონე-

ბაში. განსაკუთრებით „მოვედით თაყვანისსცეთ“ და «წმიდაო ღმერთო»-ს გალობის დროს თქვენ გრძნობთ ისეთ სიამოვნებას, რომელი სიამოვნებაც არ შეედრება არც ერთ ამ ქვეყნიურ სიამოვნებას, ამასთან გალობის სმენის დროს თქვენი გული ივსება იმედით, რომ ჩვენი გალობა აღარ მოისპობა, რადგან ელირსა გადაღება ბ. ფ. ქორიძისაგან და დაბეჭდვა ბ. შარაძისაგან. ჭეშმარიტად ამ ორი კაცის ღვაწლი დაუფასებელია და საზოგადოება ესლანდელი თუ არა შემდეგი მაინც ჯეროვანად დააფასებს მათ ღვაწლს. ღმერთმან იწებოს, რომ დანარჩენი საგალობლებიც იქნენ ამ ჰატიოსან მოღვაწეთაგან გადაღებული და დაბეჭდილი. მაშინ შიში აღარ გვექნება ჩვენი საეკკლესიო გალობის მოსპობისა... მაღლობა ღმერთს, ესლანდელი სასწავლებლების წყალობით ყოველთვის გვეეოლება ნოტებზე გადაღებული გალობის მცოდნე თითო ოროლა კაცი. ეს მცოდნე ჰირნი ისე ადვილათ შესძლებენ ნოტებზე სწავლებას, როგორც ეს შეიძლო ბ-ნ ჯინჭველაშვილმა.

ვისზე არის ესლა დამოკიდებული, რომ ბ. ფ. ქორიძისაგან დაწეებული საქმე აღორძინდეს ზე კავრცელდეს ჩვენს ეკკლესიებში? სასულიერო მართებლობამ, დიდი ხანია, შენიძნა საეკკლესიო გალობის დაქვეითება ეველა ეკკლესიებში და ეოველივე ღონეს ხმარობს მის ჯეროვანად დაეენებისათვის. ვებერთელა ნოტები იბეჭდება და იგზავნება ეკკლესიებში, რომ ამ ნოტების შესწავლით საეკკლესიო გალობა გამშვენდეს ეკკლესიებში. ჩვენში რაღას ვხედავთ? დიდ დაუდევრობას და გულგრილობას ამ საქმის შესახებ, როგორც სხვა ეველა საზოგადო საქმეებშიაც. დიდი ხანია მას აქეთ, რაც იმერეთის



სამღვდელოების კრებაზე დაადგინეს, რომ თითოეულ ეკკლესიას გამოეწერა ბ. ფ. ქორძის მიერ შედგენილი ნოტების წიგნი. ეს დადგენილობა ადგილობრივი მთავრობის მიერაც იქნა დამტკიცებული, მაგრამ ეკკლესიებს ხსენებული ნოტები დღესაც არა აქვსთ გამოწერილი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენში არ არის სიუვარული და გემო საეკკლესიო ტკბილი გალობისა, არ არის გამჭრიახობა საზოგადო სასარგებლო საქმეების გავრცელების შესახებ. ამ კეთილ საქმეს უურადღება უნდა მიაქციოს მთელმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით ჩვენმა სამღვდელოებამ. დროა გავიღვიძოთ. კმარა ამდენი მიჯი, თუ არ გვინდა, რომ სულ ჩამოვრჩეთ ეხლანდელ დროს და საზოგადოების ცხოვრებას.

დოქ. დ. ლამბაშიძე.

## სიჯგვა,

თქმული უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის  
გ. კ. საბღვანის მიერ შეტყობილებული

საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მოვალეობის შესახებ.

უწმიდესი სინოდის ზრუნვა, რათა ჯეროვანად იქმნენ მომზადებულნი საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელნი, იქიდანა ჩანს, სხვათა შორის, რომ პეტერბურგში, მოსკოვში, კურსკში, ხარკოვში, კიევში, ოდესაში, ყაზანში და პერმში გაიხსნა პედაგოგიური კურსები ორ-კლასიანი სკოლების მასწავლებელთათვის და 30 პედაგოგიური კურსი, ერთ კლასიან სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. ეს პირველი ამბავია რუსეთის დასაწყის სკოლებში. მრავალ მასწავლებელ კაცებს

და ქალებს იწვევენ ერთი ან ორი თვით იმისათვის, რომ მათ შეიძინონ ახალი, სასარგებლო სწავლა, უფრო კარგად შეიგნონ მათთვის საჭირო ტეორეტიული და პრაქტიკული ცოდნა, გაიცნონ სწავლების საუკეთესო წესები და საზოგადო შრომის დროს შეიძინონ ახალი ძალა თავისი სამოსწავლებლო მოღვაწეობისათვის.

ამ პედაგოგიურ კურსებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვთ კურსებს სამრევლო ორ-კლასიანი სკოლების მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის. ამ სკოლებს, როგორც თქვენც უწყით, ის დანიშნულება აქვსთ, რომ მათ მოამზადონ მასწავლებელი კაცი და ქალნი წერა-კითხვის სკოლებისათვის. ამ სკოლებს ყველგან ძლიერ საჭიროებენ. ჩვენი ვრცელი სამშობლოს მრავალ ათას სოფელში არავითარი სკოლა არ არის. საიდან ვიშოვოთ ამდენი ათასი ისეთი მასწავლებელი, რომ იგინი მასწავლებლობისათვის მომზადებულნი იყვნენ და კიდევ ღათანხმდენ მასწავლებლობას მიყრუებულ სოფლებში იმ მცირე საფასით, რაიცა ეძლევათ მათ. დღეს წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთა უმეტესი რიცხვი შესაფერად არ არის მომზადებული. ვინაიდან შესაფერად მომზადებულ მასწავლებელთ ვერა ვშოვობთ, ვინც კი შეგვხვდება, იმას ვაძლევთ მასწავლებლობის ადგილებს ხსენებულს სკოლებში და ასეთ მასწავლებელთ, უმეტესად, წარმატებით ვერ მიყავთ სწავლების საქმე. ასეთ არა სანატრელ მდგომარეობას ყოველთვის კარგად გრძნობდა სამოსწავლებლო რჩევა; მაგრამ დღემდე მას საშუალება არა ჰქონდა თავიდან აეცილებია ეს დაბრკოლება, დღეს კი, რუსეთის იმპერიის გვარგვიანოსანი მეფის წყალობით, დაარსებულ იქმნენ ორ კლასიანი სასწავლებლები, რომელთაც უნდა მოგვიმზადონ წერა-კითხვის სკოლებისათვის მასწავლებელნი. ამ სკოლებში წარმატებით სწავლება შეეძლება იმ მასწავლებელთ, რომელთაც შეუძლიათ მცირე საფასითაც კმაყოფილ იქმნენ, ვინაიდან მათ არ უხილავთ ქალაქის ცხოვრების ამბო მხიარულება და რომელნიც მოშორებულნი არ იქნებიან მათ სამშობლო მიწას. ამ სკოლებში უნდა შევიდნენ, სწავლის დამთავრების შემდეგ, მეზობელ ადგილების საეკკლესიო სკოლების, საუკეთესო მოწაფეები, ხოლო თუ თავისუფალი ადგილი გვექნება, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ ისინიც, რომელთაც სხვა


უწყების დასაწყისი სასწავლებლებში ექნებათ სწავლა დამთავრებული. ეს ყმაწვილები, რომელნიც ორ კლასიანი სკოლის კურსის გათავებას ვ წელიწადს მოუნდებიან, არ მოშორდებიან სამშობლო ქვეყანას, ზაფხულობით ისევ მშობლების სახლებში დაბრუნდებიან, იმ სახლებში, სადაც უმეტესობამ, შეიძლება, შემდეგშიაც ასეთ სახლებში იცხოვროს, ზამთრობით ასწავლიან ყმაწვილებს, ხოლო ზაფხულობით თავის ოჯახთან ერთად იმუშავენ მინდვრებში. თვალუწვდენელი რუსეთის იმპერიის სკოლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად ასეთი მასწავლებლები დიდად სასარგებლონი იქნებიან. იმედია, რომ ხსენებული სკოლები მოგვცემენ ჯეროვანად მომზადებულ მასწავლებლებს, რომელნიც თავისი შინაური ცხოვრების მიხედვით, ჯერჯერობით კმაყოფილი იქნებიან მცირე სასყიდელზედაც. და აი, ამ უბრალო დასაწყისი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად თქვენ იქმენით დანიშნული ორ კლასიანი სკოლების მასწავლებლად, და დღეს შეიკრიბებით პეტერბურგში პედაგოგიურ კურსებზე, რათა შეიძინოთ თქვენთვის საჭირო ცოდნა იმ საგნების შესახებ, რომელნიც თქვენ უნდა ასწავლოთ.

თქვენ ყველანი, უეჭველად, იმას ცდილობთ შეიტყოთ, როგორი უნდა იყოს დასაწყისი სკოლის მასწავლებელი. დასაწყისი სკოლის მასწავლებლის მოვალეობის შეგნებამ უნდა ნათელი მოჰქონოს თქვენს მოღვაწეობას როგორც პედაგოგიური კურსების დროს, ისე სკოლაში.

უმთავრესი დანიშნულება, რომელიც საეკლესიო სკოლების საფუძვლად არის მიღებული, იმაში მდგომარეობს, რომ ამ სკოლებმა დასაწყისი ცოდნა უნდა შეიძინონ მოსწავლეთ, და მასთან ერთად მათ უნდა აღზარდონ ყმაწვილები თანახმად წმიდა ეკლესიისა, მაშასადამე საეკლესიო სკოლებში ყმაწვილებმა უნდა ისწავლონ განათლების პირველ დაწყებითი საგნები და მასთან აღიზარდნენ ქრისტეს მცნებისაებრ. ამიტომ მასწავლებლის მეცადინეობა მიქცეული უნდა იქნეს, რომ მან ყმაწვილი განავითაროს როგორც გონებითად ისე სულიერად და ზნეობითად. თქვენ უნდა ასწავლოთ და გააცნოთ მომავალ მასწავლებლებს წერა-კითხვის სწავლების საუკეთესო წესები, ასწავლოთ ანგარიში, გაიაროთ ყველა ის საგნები, რომელიც ნაჩვენებია პროგრამაში; შეასწავლეთ მათ ის, რაც საჭიროა წერა-კითხ-

ვის სკოლების მასწავლებლისათვის. მაგრამ თქვენს მიზანს მაინც ვერ მიაღწევთ, თუ თქვენს მოწაფეებს ეცოდინებათ მარტო არითმეტიკული ამოცანების გაკეთება და შეუცდომლად დაწერენ. სკოლის წარმატებისათვის არ კმარა ეს, — საჭიროა, რომ თქვენ მღვდელთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით განავითაროთ ყმაწვილი ზნეობითად. თავდაპირველად ეცადეთ, რომ იგინი იქმნენ ნამდვილი მორწმუნენი, რომ იგინი შეიქმნენ კეთილი და მართლ-მადიდებელი ქრისტიანენი. შეასწავლეთ ხსენებულ მასწავლებელს, რომ მათ ყრმათა გულში, რომელთაც მათ უნდა ასწავლონ, აღძრან სიყვარული ქრისტესადმი, რომელმაც ამცნო მოწაფეთა თვისება, რომ არ დააბრკოლონ ყრმანი მისვლად მისდა. ხოლო თქვენ მიიყვანეთ ყმაწვილები იესოსადმი, რომელიც არის წყარო ყოველივე კეთილისა და მოწყალებისა. განუმარტეთ თქვენ მოწაფეებს მნიშვნელობა მართლ-მადიდებელი ეკლესიისა, რომელიც შეუცვლელად და სიწმიდით იცავს სახარების სწავლას და რომელიც სიყვარულობით აძლევს ყველას, განურჩევლად, მადლს საცხოვნებლად, რომელიც ჩვენი უკეთესი მასწავლებელია ქვეყანაზე, რომელიც გვაზაფხულებს ჩვენ, რათა უკვდავ და დიდებულ ვიქმნეთ ცათა შინა. უგალობეთ თქვენ მოწაფეებთან ერთად უფალსა, გააღვიძეთ თქვენი მოწაფეების გულში საეკლესიო გალობის სიყვარული. კითხვის და გალობის ცოდნა ეკლესიაში სასარგებლოა იმიტომაც, რომ ეს შევლის ყმაწვილებს, რათა მათ სუსტად შეძენილი წერა-კითხვა არ დაავიწყდეთ.

თქვენ მოსწავლეთა კეთილი გრძობა განავითარეთ საეკლესიო ისტორიის და ჩვენი სამშობლოს ისტორიის კითხვით; უჩვენეთ მათ მრავალნი მოწამენი, რომელთაც თავისი მოწამებრივი სიკვდილით დაამტკიცეს ქრისტეს სარწმუნოება და უჩვენეს ქვეყანას მაგალითი სიყვარულისა მისდამი, რომელმაც თავისი ვნებით და ჯვარცმით გაგვანთავისუფლა ჩვენ სიკვდილისა და ხრწნისაგან. გააცანით მოწაფეებს ქრისტიან მეუღაბნოეთა ისტორია, უჩვენეთ სიმშვენიერე სასარგებლო კეთილ ცხოვრებისა, გააცანით მათ ეკლესიის მასწავლებლები, რომელთაც უმაღლესი სიბრძნით განმარტეს აზრი და მნიშვნელობა ქრისტიანობითი სწავლის უმთავრეს ჭეშმარიტებათა; გააცანით მათ რუსეთის ეკლესიის მღვდელთ-მთავრები და მთავარ-მოწამენი, რომელნიც თავისი მოღ-



ვაწეობით და შრომით შესანიშნავნი არიან. გააცანით მათ ის დიდებულნი თვითმპყრობელნი ხელმწიფენი, რომელთაც გააძლიერეს რუსეთის იმპერია. აღზარდეთ ისინი, რომ ერთგულნი იყვნენ მეფისა, რომელიც თავისი უფლებით აერთებს ერთად სხვა და სხვა თემთა და ხალხს, რომლითაც დასახლებულია რუსეთი. ასწავლეთ მათ, მოწიწებით მოიხსენონ ის პირნი, რომელნიც უანგაროდ ემსახურებოდნენ სამშობლოს და აგრეთვე ისინიც, რომელთაც თავისი თავი შესწირეს მას. თვალწინ გადაუშალეთ თქვენ მოწაფეებს თქვენი სამშობლოს ისტორიული ხვედარი. როცა თქვენ ასეთი სწავლა-მეცნიერებით გააკეთებთ თქვენ მოწაფეთა გულს, ამავე დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ იგინი მტკიცე ხასიათისა იქნენ, თუ გინდათ, რომ სხვას წინამძღვრობდეთ, უსათუოდ ზედგავლენა უნდა ჰქონდესთ მათზე. და სხვაზე ზედგავლენა შეუძლია იქონიოს მან, რომელიც თვითონაც გამგონე და აღმასრულებელია ყოველივე კანონიერი წეს-წყობილებისა; ამიტომ მომავალი მასწავლებლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ იგინი იქნენ მტკიცე აღმასრულებელი თავისი მოვალეობისა. თქვენი მოღვაწეობის ამ მხარეზე მიაქციეთ უმეტესი ყურადღება. რუსეთის ხალხის ერთი უმთავრესი ნაკლულეფანება ის არის, რომ თუმცა იგი მეტის მეტად კეთილი და გულშემატკივარია და მზად არის თავი შესწიროს სამშობლოს, მაგრამ ამასთან ძლიერ ნაკლებად აქვს შეთვისებული, რომ თავისი მოვალეობა ყოველთვის სიმტკიცით აღასრულოს. სკოლამ უნდა აღზარდოს ყმაწვილში კარგი ზნე-ჩვეულება, უნდა მიაჩვიოს ისინი, რომ კეთილსინდისიერად აღასრულონ ყოველივე საქმე, რაც უნდა მცირე იყოს ეს საქმე. ამიტომ გააღვიძეთ თქვენს მოწაფეებში გრძობა მოვალეობისა; დაჟინებით მოითხოვეთ მათგან, რომ მათ კარგად გააკეთონ ყოველივე, რის გაკეთებასაც კი შეუდგებიან.

გახსოვდეთ, რომ მასწავლებელი მზრუნველობის თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს ყმაწვილის გარეგნობასაც; მან ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მოწაფეებს ყოველთვის ხელები და მთელი ტანი წმინდათ ქონდესთ. ბავშვები ყოველთვის თავდავარცხნილი და სუფთად უნდა იყვნენ. ყოველ სკოლას დიდი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული მოსწავლეთა გარეგან სისუფთავეზე. კეთილმა მასწავლებელმა თავისი მაგალითებით უნდა ასწავლოს მოწაფეებს, რომ იგინი

სიყვარულობით მოეპყრან ხალხს, ყოველთვის მზად იყვნენ მოეხმარონ მოყვასს, პატივით მოეპყრან უფროსებს. ჩვენს სკოლებში ცუდ სიტყვა-პასუხს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სასურველია, რომ ქრისტიანული კეთილ-აღზრდილობა იქნეს დამამშვენებელი ჩვენი საეკლესიო სკოლებისა. კარგი მასწავლებელი მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ ზნეობით აღზარდოს თავისი მოწაფეები; უნდა ცდილობდეს გააკეთილშობილოს ისინი, აღმოფხვრას მათში ცუდი მისწრაფებანი და განავითაროს მათში კეთილი ქრისტიანული ჩვეულებანი. ასწავლეთ თქვენს მოწაფეებს, რომ კეთილის სწავლება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თვითონ შეგება კეთილს; მასწავლებელმა ყოველივე ის, რასაც სიტყვით ასწავლის, უნდა აღასრულოს თავისი მოქმედებით. ვაი იმ მასწავლებელს, რომელიც საქმით არ ახორციელებს მას, რასაც სიტყვით ასწავლის მოწაფეებს. თავისი მოღვაწეობის დროს მასწავლებელს განსაკუთრებით უნდა ახსოვდეს მცნება მაცხოვრისა, რომელიც სასტიკად ამხილებს მათ, რომელნიც აცდნენ ყმაწვილთ, რომელნიც ფრიად საყვარელნი არიან მაცხოვრისათვის. იცოდეთ, რომ თქვენი მოქმედების მიხედვით აზრს ადგენენ თქვენ მოწაფეებზედაც, ამიტომ ყოველი ღონის ძიებით მოერიდეთ ყოველივე მას, რასაც შეუძლია დააბრკოლოს თქვენი მოღვაწეობა. მოერიდეთ ისეთ საქციელსაც, რომელიც მასწავლებლათ რომ არ იყოთ, დასაძრახისი არ იქნებოდა. იცხოვრეთ თანახმად წმ. ეკლესიის სწავლისა, მარხვას ნუ დაარღვევთ, ეცადეთ, რომ თამბაქოს წვევა გადაგდოთ. შეიგნეთ მნიშვნელობა იმ დიდი საქმისა, რომელსაც თქვენ მსახურებთ და მოერიდეთ ყოველივეს, რასაც შეუძლია დააბრკოლოს ამ წმიდა საქმის წარმატება.

ორ-კლასიან სკოლებში, განსაკუთრებით თავდაპირველად თქვენ ძლიერ ცოტა მოწაფეები გეყოლებათ. ეს გარემოება ძლიერ მოგეხმარებათ. როცა კლასში 20 მოწაფე გეყოლებათ, თქვენ შეგიძლიათ ძლიერ დაუახლოვდეთ თითოეულ მათგანს, გაიგოთ მისი ზნე-ჩვეულება, რომ შემდეგ უფრო კარგად იმოქმედოთ მასზე. ყოველივე ცუდი მოსპეთ მათში, გამჭრიახეთ ადევნეთ მას თვალი, რომ ცუდი გრძობანი ჩვეულებად არ გადაექცესთ; კარგად დაუკვირდით თქვენი მოწაფეების ნიჭიერებას. ეცადეთ შეინიშნოთ მათში უფრო ნიჭიერნი; ეძიეთ თქვენ მო-

წაფეებ შორის უფრო ნიჭიერნი და ნუ დაგავიწყდებათ აცნობოთ მათ შესახებ იმათ, რომელთაც შეუძლიათ იზრუნონ ამ ნიჭიერ ყმაწვილთა შემდეგ სწავლა-განათლებლაზე.

წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელნი, აღზრდილნი სარწმუნოების და მართლ-მადიდებელი ეკლესიის სწავლისამებრ, ერთგულნი მეფისა, მოსიყვარულენი თავისი სამშობლოსა, მუყიათნი შრომაში, წყნარნი ყოფაქცევით, მუყიათნი თავისი მოვალეობისა, მოსიყვარულენი მოწაფეთა, შეიტანენ თავის ხალხში სწავლის სინათლეს, რომელიც ასე ძლიერ ესაჭიროება ჩვენს ხალხს. იმედია, რომ ორკლასიანი სკოლები ყველგან ძლიერ წინ წასწევნ სწავლა-განათლების საქმეს, სადაც კი მასწავლებლად იქნებიან ამ სკოლების მოწაფეები.

ადგილობრივი სხვა და სხვა პირობათა მიხედვით ორკლასიან სკოლებთან უნდა გამართოთ ბოსტნები, ხეხილის ბაღები, საფუტკარე, და თუ შესაძლებელი იქნება, სკოლის სახნავ-სათესი მინდვრებიც. სხვა და სხვა ახალი საუკეთესო იარაღებით მიწის შემუშავებას შეუძლია გააძლიეროს სკოლის შესახაზი საშუალება, და მასთან მაგალითს უჩვენებს მახლობელ გლეხებს. ბოსტანში, ბაღში ანუ მინდორში მუშაობა ყოველგვარ ვარჯიშობაზე უკეთესი იქნება მოსწავლეთა ტანისმორთელისათვის, რომელზედაც დიდი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული სკოლის მთავრობისა. თუ სკოლასთან ბოსტნის ან ბაღის გაკეთება არ მოხერხდება, რომ მათში იმუშაონ მოსწავლეებმა, ან როცა ბოსტანში და ბაღებში მუშაობა შეწყდება, ამ დროს უნდა ვეცადოთ, რომ სკოლებში შემოვიღოთ ხურობის, დურგლობის, მეწაღეობის ანუ ყდის კეთების სწავლება; ქალების სასწავლებლებში უნდა შემაღლებულ იქმნეს სხვა და სხვა ხელსაქნარი. ორკლასიან სკოლებში, თუმცა ისინი პროფესიონალური სკოლები არ არიან, მაგრამ, შეძლებისადაგვარად, მოწაფეები უნდა მიაჩვიონ ფიზიკურ შრომას.

შეიძლება ჩვენ გვითხრან, რომ ძლიერ დიდი და აუტანელი შრომა გედებათ თავზე თქვენ, რუსეთის ხალხის მასწავლებელთ. დიახ, ადვილი არ არის თქვენი მოვალეობა; მაგრამ მისი ცოტა-ოდნად აღსრულება შესაძლებელია, თუ თქვენ დაიმედებული ხართ, რომ თქვენი მასწავლებლობა კეთილ ნაყოფს მოიტანს. თუ ამ რწმენით არ არის აღჭურვილი

მასწავლებელი, მას აუტანელ ტვირთად უჩვენება მასწავლებლობა. მასწავლებელს ხშირად დიდმა ხსენებამოვლება ხედება იმ საზოგადოებიდან, რომელშიაც იგი მოღვაწეობს; ხშირად ამ საზოგადოებას არ ესმის მასწავლებლის კეთილი განზრახვა, გარდა ამისა მასწავლებელი კარგად ხედავს თავისი მოვალეობის სიძნელეს და მასთან ნივთიერ სიღარიბეს და სხვა მრავალ დაბრკოლებას და ყოველივე ამას შეუძლია ხელი აგაღებოს თქვენს საქმეზე, თუ თქვენ არ გამხნევეთ თქვენი მოღვაწეობის წარმატება. როცა თქვენ დაიმედებული ხართ, რომ სწავლას შეძენთ და ღვთის სადიდებლად აღზრდით ბავშვებს, ეს იქნება თქვენი ნუგეში თქვენი მოღვაწეობის საძნელო ჟამს, ხოლო ბავშვებისადმი სიყვარული იქნება წყარო თქვენი ბრწყინვალე და წმიდა სიხარულისა. მასწავლებელს, რომელსაც სწამს თავისი მოწოდება, შეგნებული აქვს თავისი მოღვაწეობის მნიშვნელობა. მისი შრომა, ერთი შეხედვით, შეუძნეველია. მისი შრომა დღითი-დღე ერთ გვარად მეორდება, რაიცა გარეშე კაცს ეს ერთ გვარი შრომა უსარგებლოთაც კი ეჩვენება. მაგრამ, როგორც წყლის ცვარი, რომელიც მუდამ ეცემა ქვაზე, სტოებს მასზე კვალს, ისე მასწავლებლის ეს ყოველ დღიური შრომაც უნაყოფოდ არ იკარგება. მასწავლებელს სკოლის წყალობით შეუძლია ხალხის ცხოვრებაში შეიტანოს ბევრი რამ კარგი და სასარგებლო ცნობები. რომელიმე ქვეყნის მომავალი ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია მათზე, რომელთაც აბარიათ სკოლა. და მართლ-მადიდებელი და თვით მპყრობელი რუსეთისათვის ეკლესია, რომელიც შეუცვლელად იცავს სახარებას და წმიდა მამათა ზებირ გადმოცემას, არის საიმედო სიმაგრე.

დიდი და ფრიად სასარგებლო ასპარეზი გელის თქვენ; თქვენ შეგნებით მოკიდეთ ხელი რუსეთის ხალხის განათლების საქმეს; თქვენ იცით, რომ ქვეყანას განაგებს იდეები, რომ იდეების განხორციელება უბრალოდ არ ხდება, არამედ შედეგია დიდი შრომისა და მსხვერპლისა. მაგრამ ეს დაბრკოლებანი ვერ შეგაჩერებენ თქვენ, რწმენა თქვენი წმინდა საქმის წარმატებისადმი, როგორც სხივი შორეული გზის მაჩვენებელი ნიშნისა ზღვაში, იქნება თქვენი ხელ მძღვანელი სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა და სიღარიბეთა შორის. და როგორ არ უნდა ავიტანოთ ყოველივე ეს დაბრკოლებანი და სიღარიბე დღეს,

როცა უდროვოდ ღვთის მიერ გადაცვალეული მშვიდობის მოყვარე მეფის და მისი გვირგვინოსანი შვილის, ჩვენი საყვარელი ხელმწიფის მამობრივი მზრუნველობის წყალობით, უკვე ამოანათა ჩვენი საეკლესიო სკოლების ბრწყინვალე ვარსკვლავმა; ამ სკოლას მიეცა სახელმწიფო ხაზინიდან დიდი შემწეობა.

ამ სახით მარჯვეთ მოჰკიდეთ ხელი საქმეს. ქრისტეს ნათელმა განგინათლოსთ თქვენ თქვენი განმანათლებელი შრომა და ღმერთმა ინებოს, რათა აღყვავდეს საეკლესიო სკოლები, სადიდებლად რუსეთის ხელმწიფისა და სასარგებლოდ ჩვენი ძვირფასი სამშობლოსა».



აზიან ზატიოსანი და კეთილი კაცებიც.

ერთი რუსული ანდაზა ამბობს.—ცუდს ხმას უველა მალე ტუობილობს, და კარგს კი არავინ. ამ ანდაზისა არ იყოს, ბევრ ცუდ რამეებს ვტუობილობთ ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, მაგრამ კარგი კი დაფურულია და არავინ არ იცის. ამისათვის ჩვენი საზოგადოების უცოდინარი კაცი, მარტო ცუდი ხმების გამგონე შემცდარ დასკვნას ადგენს ჩვენ ხალხზე. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი დღიური გაზეთებიც ცარიელი ადგილის გასავსებად და მკითხველთა უურადღების მისაქცევად ისეთ ცნობებს ბეჭდავენ, რომელნიც სრულებით არსად არ მომხდარან. ამისათვის საჭიროა, რომ ცუდ ამბებთან კეთილი ამბებიც შევატუობინოთ საზოგადოებას. დავასახელებთ სამ ფაქტს, რომელთაგან თვითონ მკითხველი დაწმუნდება, რომ ჩვენში დღესაც მოიპოვებიან სამაგალითო და კეთილი ზნის პირნი. აი ფაქტები:

4 აგვისტოს ირაკლი კვანტრეშვილი წამოსულა თავის სოფელ თვრინიდან უვირილაში. გზაზე უნახავს ფულით გატენილი ქისა, აუღია ეს ქისა და უნახავს, რომ შიგ ორმოცდა სამი თუმანი და სხვა-და-სხვა ძლიერ საჭირო საბჭუთის ქაღალდებია. ამ ქაღალდებიდან ტუობილობს იგი ფულის ჰატრონს. ეს კაცი მოდის უვირი-

ლაში და აქ ნახულობს ფულის ჰატრონს, და ჰკითხავს მას, რომ ხომ არაფერი დაკარგვია მას? ფულის ჰატრონი შემფოთებულნი ხელს ისვამს ჯიბეზე და ტუობილობს, რომ ჯიბაში ფულეზიანი ქისა აღარა აქვს. კვანტრეშვილი იღებს ნაპოვნ ქისას და აძლევს შემფოთებულ ფულის ჰატრონს, რომელიც მპოვნელს საჩუქრად ფულს აძლევს, მაგრამ იგი უარს ეუბნება ასე უშირომლოდ ფულის მიღებაზე.

მეორე ფაქტი. 7 აგვისტოს, დამით, პირველს სათზე მივდივარ წიფის რკინის გზის სადგურზე ბილეთის სასყიდლოთ. სადგურის უფროსის მაგიერ ბილეთებს ჰყიდის უფროსი ტელეგრაფისტი კირილე ხარაძე. ფულის ხურდა ვერ ვიპოვეთ და ჯიბეში და ქისაში ვაძებ წვრილ ფულს. ბოლოს მოყვანეთ წვრილი ფული და ბილეთი ვიყიდეთ. ეს მოხდა თვითონ სადგურში. გამოვდივარ გარეთ და მატარებელს ველი. ამ დროს სადგურიდან გამოდის ხსენებული ხარაძე და მეუბნება: «ეს ქისა თქვენ ხომ არ დაგვარდნით სადგურში» და მაძლევს ჩემ ფულეზიან ქისას.

მესამე ფაქტი. ერთი გამოუცდელი კაცი მიდის უვირილის ფოსტაში და 90 მანეთის გაგზავნა უნდა თფილისში თავისი ნათესავი მოსწავლესათვის. რადგან ფოსტაში უდროვო დროს მვიდა, ნახა რომ ფოსტის კარები დაკეტილია; მას აუღია ფულეზიანი წერილი და ფოსტის ყუთში, რომელიც გარედგან კედელზეა ჩამოკრებილი, ჩაუკვია და თვითონ არჩენად წასულა შინ. ფოსტის მოსამსახურე ბ. იაკობ გამცემლიძე დანიშნულ დროზე იღებს ხსენებული ფოსტის ყუთიდან წერილებს და, სხვათა შორის, ხედავს, რომ ერთი წერილი 90 მანეთიანია. იგი ამ წერილს ადგენს ფოსტის კანტორაში, სადაც სიგელს ადგენენ და ფულს დანიშნულებისამებრ აგზავნიან და სხვოვენ მიმდებ ფოსტას თფილისში, რომ გასაგზავნი ფულები სამ აბაზამდე გამოერთვას ფულების მიმდებს.

ეს ფაქტი და სხვა ამისთანა მრავალნი ცხადათ ამტკიცებენ, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის მოკლებული ჰატიოსან პირთ, როგორც ამას ფაქტობენ ზოგიერთები...

დეკ. დ. ლამბაშიძე



### წერილი „მწეხის“-ს რედაქციის მიმართ

(სახალინიდან)

კუნძული სახალინა, როგორც ყველას მოეხსენება, სამ ოლქათ იყოფა: ალექსანდროვსკი, ტიმოვსკი, სამოცდა ათის ვერსის მანძილზე მოშორებით, და კორსაკოვი, შვიდასის ვერსის მოშორებით პირველზე. მთელ კუნძულზე ქართველობა 260 კაცამდე იქნება: ესე იგი ალექსანდროვსკში 100-მდე და სხვებში 80 კაცამდე თითოში. იმ ქართველთა რიცხვი, რომელნიც გვარიანათ ცხოვრობენ, თავისი საკუთარი სახლები აქვს ბატარა ფულიც, ოცდა ათამდეა მთელს კუნძულზე, დანარჩენები უკანასკნელ მდგომარეობაში არიან. ვისაც ჯერ კატორღის ვადა არ გაუთავებია, თუმც იგი შრომატანჯვაშია, მაგრამ მცირე სასმელ-საჭმელი მაინც ეძლევა მას და პატიმრის ტანისამოსი, ხოლო ვინც „პასელენცები“ გამხდარან, იმათ მთავრობიდან აღარაფერი შემწეობა აღარ ეძლევათ; მათ ციმბირის ქალაქებისკენაც აგრე ადვილად არ უშვებენ ბილეთით, აქ კი მუშაობა მუშაობათ არ გადის და ხელობა ხელობათ. კარგს მუშას მისი ხარჯით 20—25 კაპ. აძლევენ ღლეში და ეს ფული ხარჯათაც არ ყოფნის. ამას ვინ დაეძებს, რომ ყოველ ღლე შეიძლებოდეს სამუშაოს შოვნა. მართლა წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, რომელსაც არავისგან შემწეობა არ ეძლევა და რომელიც დღიური სარჩოს გულისთვის არ ერიდება არც მადანში მუშაობას, არც დიდ ყივნებში და ბუქში ტყეში ხეების ჭრას და თრევის, მაგრამ საუბედუროდ ამ საჯაფო სამუშაოსაც ვერ შოულობს. სმა-ქამა, ჩაცმა-დახურვა, ოთახის ქირის მიცემა და სხვანი ყოველ ცოცხალ კაცს სჭირდება. მშობლებიდან რომ შემწეობა მოდიოდეს, ოცში ერთი-ორი კაცი თუ იქნება. მართალია, ცუდ-კაცობისთვის არის კაცი აქ გამოგზავნილი და «ავისთვის ავი უნდა მიეგოსო», მაგრამ სასჯელად განა არ კმარა, რომ ზოგი ხუთს, ათს და თხუთმეტ წელიწადზე მეტი იმყოფება ტანჯვა-შრომაში, განსაცდელში და ვაგლახში?


აქ სომხები და თათრები ყველა ხალხზე უკეთ ცხოვრობენ, და ერთი მეორეს ეწევიან. ვაჭრობაც ხომ ამათ ხელშია. რაც სავაჭრო დუქნება ან ხეირიანი

მაღაზიებია, ყველა სომხების და თათრებისაა. თუმცა რუსები აქ ყველა ხალხზე მეტია, მაგრამ კამათშიაც ცოტანი არიან დუქნებ-მაღაზიების პატრონები; ქართველებში კი ძლიერ ცოტანი არიან, რომ უბრალო საწვრიმალო სავაჭროც რომ ჰქონდესთ.

არც ერთი ქართული გაზეთი აქ არვის არ ჰქონია გამოწერილი. მხოლოდ წარსული წლის ივნისის თვიდან ბ. აბრამ კვირკველიას მოდის «მწეხისი», „კვალი“ და „მეურნე“ — ამ პირმა რამოდენიმე ქართული წიგნებიც მოიყიდა. ქართველობამ რომ გაიგო, სახალინაში ქართული გაზეთები და წიგნებიც მოდისო, ყველას ძალიან გაეხარდა და ვინც კი ქართული კითხვა იცოდა, თითქმის, ყველამ მიმართა კვირკველიას, რომ გაზეთი ემოვათ და წაეკითხათ. ყველანი ვეკითხებოდით, თუ საიდან გამოიწერა მან გაზეთები, როცა შეძლება არ ჰქონდა გაზეთების გამოწერისა. მან გვიპასუხა: გაზეთებს ერთი ჩემი ახლობელი ნათესავი მიგზავნისო. უქირაოთ არვის არ აძლედა გაზეთებს წასაკითხად. ამიტომ ვისაც სურდა და შეეძლო ფასის გადახდა, სარგებლობდენ ამ გაზეთებით და დანარჩენები კი სიღარიბისა გამო მოკლებულნი იყვნენ ამ ბედნიერებას. კორსაკოვის და ტიმოვსკის ოლქებში მყოფმა ქართველებმა დღესაც არ იციან, რომ აქ ქართული გაზეთები იგზავნება; ჩვენც ამ თებერვალში გავიგეთ საქმის გარემოება. შემთხვევით ერთს ჩვენთაგანს გაზეთი «კვალი»-ს № 14—1896 წ. ჩაუარდა ხელში. ამ გაზეთშია დაბეჭდილი „სახალინიდან კვირკველიას მიერ გაგზავნილი წერილი ბ. აკაკი წერეთელთან. კვირკველია სწერს, სახალინაში ქართველობა 500-ს კაცზე მეტიაო“ და ვითომც ამ ქართველობამ სთხოვა მას შუამდგომლობა გასწიოს ქართველ საზოგადოებასთან, რომ იქნება ქართული გაზეთები შამოგვწირონო.

კვირკველიასთვის არავის არაფერი შუამდგომლობა არ უთხოვნია და იგი არც ისეთი ვინმე პირია აქ, რომ მას რაიმე საქმისთვის მიმართონ. აქ ქართველობაში თუმც ბევრი არაა, მაგრამ მაინც რამოდენიმე კაცი გვირეცია, რომ ზოგს კლასიკურ გემნაზიაში, ზოგს სემენარიაში და ზოგს სხვა საშვალ სასწავლებელში უსწავლიათ და სხვაფერაც უკეთეს კაცათ ხედვენ აქ. ბ. კვირკველია უქირაოდ არვის აძლედა გაზეთებს და ზევით მოხსენებულ „კვალის“ № 14. სრულიად არვისთვის უჩვენებია, რადგან





აფხაზი კიჩეი.

(გაგრძელება\*).

ამ ნომერში მის მიერ გაგზავნილი წერილის შინაარსი იყო მოთავსებული. ჩანს, რომ კვირკველიას 500-ს კაცის სახელზე ნათხოვნი გაზეთები და სხვა თავის საკუთრებათ გაუხდია. ჩვენებმა როს ეს ამბავი გაიგეს, ერთ დღეს მოიყარეს აქ თავი და კვირკველიას ძალიან შეურაცხება მიაყენეს, „როგორ ბედავდი, რომ გაზეთები ყველას წასაკითხად უგზავნიათ და შენ კი არ გვაძლევდიო. აქაური ქართველები დიდი მადლობელი არიან როგორც ბ. ბ. რედაქტორების, ისე იმ პატიოსანი პირებისა, რომლებს შემწეობით მოგვდის აქ გაზეთები და სხვა წიგნები. რადგანაც კვირკველია ეხლაც თავის საკუთრებათ რაცხს ამ გაზეთებს და წიგნებს და აგრე ადვილად არ აძლევს მათ ყველას წასაკითხათ, ამიტომ უკეთესი იქნებოდა უფრო საიმედო ადრესით მოდიოდეს აქ ეს გაზეთები, რომ ამ კუნძულზე მცხოვრებ ქართველებს შეეძლოთ მათი წაკითხვა. მსურველი ვართ ქვემო მოწერილი ადრესით იგზავნებოდეს აქ გაზეთები და წიგნები, თუმც ბ. ბ. შემომწირველები ინებებენ *Въ Островъ Сахалинъ. Въ Александровское Окружное полицейское Управленіе, для передачи въ грузинскую бібліотеку.*

თუმც ჩვენ აქ არც წიგნთ-საცავი გვაქვს და არც წიგნები, მაგრამ ქართველობას ჰყავს ამორჩეული საიმედო კაცი. რომელსაც პოლიცია გადასცემს ყოველიფერს ამ ადრესით მოსულს და იგივე პოლიცია არ მისცემს ნებას, რომ ერთმა კაცმა მონდომოს თავისთვის ყველა გაზეთების დასაკუთრება. სხვა ხალხთ აქვთ აქ თავიანთი წიგნთ-საცავები და ჩვენ, ქართველებს კი თუმც რიცხვით სხვაზე ნაკლები არავართ, მაგრამ სიღარიბისა გამო ვერ დაგვიფუზნებია.

მამაო დეკანოზო! უმორჩილესად გთხოვთ, გვიწყალობოთ ქართული საეკლესიო გალობის ღ სხვა საერო სიმღერების ნოტები. აქ ბევრია ისეთი ქართველები, რომელნიც კარგად გალობენ ნოტებზე რუსულ სიმღერებს, და ეს პირნი მოახერხებენ ქართული საეკლესიო გალობის და სხვა ჩვენებური სიმღერების შესწავლას ნოტებზე \*).

ვანო ცუცხაშვილი.

კიჩეიმ თავისუფლად ამოისუნთქა. მოელო ბოლო მონასტერს, მესწყდა მლოცველების მოძრაობა. ახლა კიჩეი ისევ ერთად ერთი მბრძანებელი შეიქნა ტყეში. მან იცოდა, რომ ამ ყრუ ადგილიდან მონასტრის დაღუპვას ისე ვერ გაიგებდენ, თუ პირველად ვინმე არ მევიდოდა აქ, ამიტომაც მან დასტოვა დარაჯი და უბრძანა თვალ-ყური ედევნებინა და ყველაფერი ეცნობებინა, თუ ვინ მოვიდოდა პირველად და ვინ რას იტყოდა ცეცხლის გაჩენაზე. ერთხელ მიიჭრა დარაჯი კიჩეისთან და ასე მოახსენა:

— ბატონო, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოდის მონასტრისკენ, ყველა მხრიდან, ყველა გზებდან მოდიან. ამბობენ, რომ ხატი უვნებლად გადარჩენილაო. როდესაც გუმბათი სარტყლებ-სახურავიანათ შიგ ჩაინგრა, უთუოდ ქვეშ მოჰყოლია და უვნებლად დარჩენილა ფერფლში.

— ვინ და საიდან შეიტყო ეს? ჰკითხა ბოროტებისაგან თვალ ანთებულმა კიჩეიმ.

— ამბობენ, რომ ყოველივე ეს ერთ განდევილს სიზმრად სჩვენებია. მას სიზმარში უნახავს, ვითომც მოდის ამ ადგილის მახლობლად, ფერფლის გვერდით და ხედავს, რომ ფერფლს ხევით ასვენია ხატი და მზის სხივებზე საშინლად ეღვარებს. მერე, მართლაც, მოსულა ტყეში, უნახავს დამწვარი მონასტერი და ეს ამბავი უამბნია ვისთვისაც ჯერ იყო. ამბობენ, გუბერნიის ქალაქშიაც ყოფილა იგი. იქიდან დაძრულა ხალხი, აუქექავთ ფერფლი და მართლაც ხატი უვნებლად უნახავთ. უეჭველად ამ ადგილს თავი უნდა დავანებოთ.

— ვნახოთ, ვინ გაიტანს! რას შვრება ახლა იქ ხალხი?

— ადგილს სწმენდენ. რყეს ჰკაფავენ, ალბად ისევ აშენებენ მონასტერს. ბევრ ტყეს ჩებენ, ალბად უდიდესი მონასტრის აგება უნდათ. ვინ გინდა, რომ იქ არ იყოს: ბატონი, მოსამსახურე, მთავრობის წარმომადგენელი, მდაბიო ხალხი.

მეორე დღეს კიჩეი შეუმჩნევლად შევიდა მო-

\*) ვასრულებთ სიამოვნებით ცუცხაშვილის თხოვნას. რედ.

\*) იხილეთ „მწყემსი“ № 13—14, 1897 წ.

ნასტერში და ნახა, რომ ხალხი მართლაც ურიცხვი იყო და მუშაობაც ისე სდებოდა, როგორც კარგი ოჯახის პატრონის ყანაში იქნება მკის დროს. «კარგი, კარგი, უფრო დიდი ააშენეთ, დიდ ცეცხლს გააჩაღებს» ჩაილაპარაკა მან: „აშენებით ააშენებთ, მაგრამ დაცვა ხომ არ შეგიძლიათ, ისევ ჩემ ხელთ იქნება. მე კარგად დავიცავ, თქვენც კმაყოფილი იქნებით“.

ამასობაში მონასტრის გალავანს უფრო და უფრო აფართოებდნენ და კიჩეი იძულებული შეიქნა მისი ბრბო დაექანებია შუაგულ ტყისაკენ რამდენიმე მანძილზე. „ეს რა ამბავია? რად უნდათ ამდენი ადგილი?“ ჰკვირობდა ის, „ძველს გალავანს რამდენით გასცილდნენ, ღმერთმა იცის, და ტყეს ისევ ჩვენ“.

მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ეს ამიციანაც გამოირკვა. მონასტრის მახლობლად დაყენებულმა დარაჯმა მოახსენა, რომ ხმა დადის ხალხში, ვითომც მონასტერთან მის დასაცველად გარეთ უბანს აშენებდნენ სამსახურში ნამყოფ ხალხთაგან, და ამისათვის ქოხების შენებასაც შეუდგნო. თავისუფალ ჯარის კაცთა დასახლება მონასტრის მახლობლად მაშინდელს დროში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. უკანასკნელთ ბირდაპირ დავალებული ჰქონდათ ერთხინათ რაიმე მიზეზისა გამო ჯარში გამოუდგარი მეომრები. კიჩეიმაც იცოდა ეს, მაგრამ მათი რიცხვი არ გასცილდებოდა ხუთს თუ ექვს მონასტრებთან, და ამიტომ მთელი გარეთ უბნის გაშენება გაუგებარი იყო მისთვის.

—ხედავთ, რას მოსდებიან! რა მოუჩინავეთ! ჰგონიათ კარგს ვშვრებითო! კარგი, ნახავთ ვინ არის კიჩეი. თუ ერთი ბრბოთი ვერ დავსძლევ, მეორეს, მესამეს დავიხმარებ და მონასტერს მაინც არ მოუსვენებ! ანუ გეშვებდა გუნებაში თავის თავს კიჩეი.

—ბატონო, ნეტავი განახვათ, რამდენი ხალხი მოდის მონასტერში, უამბო მეორემ.—ვინ გაარჩევს! ან საიდან მოდის ამდენი ხალხი: ჩვენი ტყე სწორეთ სათემო ადგილად გადიქვა, ტევაც არ არის. რას შეედრება მოსკოვის შარა-გზა! დიად, მონასტერი იზრდება, როგორც სოკო ნაავდრზე.

ეს ამბები უფრო-და-უფრო ამძვინებდა, არის-ხებდა ისედაც გამხეცებულ კიჩეის, ახლად გამოწყებულ მონასტრის წინააღმდეგ. ფიქრი მონასტრის ხელ მეორედ აკლებაზე უფრო-და-უფრო უძლიერდებოდა, და ყოველ მხრივ შეუზღუდავ, თვით ნე-

ბაზე ცხოვრებასა და ნოქმედებას დაჩვეული ბელადი ჰკარგავდა მოთმინებასა და თავ დაქვერებას, ერთხელ და ორ ხელ დაუწიოკებით მისი ბძანებით მლოცველები მის ამალას, არა ერთხელ და ორ ხელ გაუჩენიათ ცეცხლი ტყისათვის მონასტრის მახლობლად, რომ ამით დაეფთხოთ ხალხი და მაშენებლები. ტყუილად ურჩევდნენ უფრო გამოცდილი მეგობრები, ნუ ჩადიხარ ამას, ამ გვარი უგუნური ნოქმედებით გამოაშკარავენ თავის თავს და მიზანს მაინც ვერ მიაღწეო; ხატის სასწაულობრივ გადარჩენას და ბერის სიზმარს ისეთი რწმუნების სიმტკიცე და აოხრებელი მონასტრის სიყვარული გამოუწვევია ხალხში, რომ ამით ჩაქრობას ბევრი ფიქრი უნდაო, მაგრამ გააფთრებულისა და ერთხელ განზრახულ ჰაზრიდან გადადგომას დაუჩვეველი ბელადის დაცხრომა ძნელი იყო.

—ეჰ, თქვე საბრალოებო, უფროთ ბუზებო, დაუფრთხიხართ, შეუშინებხართ! ეტყოდა პასუხად.—ამას თუ შეუშინდით, მაშინ კურდღლებიც კი გამოგვრეკენ ტყიდან.

გავიდა ამასობაში წელიწადი, მეორე, მესამე... დადგა ისევ გაზაფხული. კიჩეიმ გადასწყვიტა ჩავარდება თუ არა ნამქერი, ამ ზაფხულსვე მოვზორდები ამ ადგილებსო.

—მხოლოდ, ძვირფასო შეიღებო, დაიწყო მან თავ მდაბლად, მოფერებით და აკანკალებული ხმით, თითქოს სოფლის დედაბერი იყო.—თქვენ ხომ არ დაგვიწყებიათ ქრისტეანობრივი ვალი. მორწმუნე ადამიანები მეზავრობის დროს ყოველთვის სამადლობელ პარაკლისს ახდევინებენ... წავიდეთ ჩვენც, მეგობრებო, პატიოსან მამებს ლოცვა-კურთხევა ვსთხოვოთ. დღესასწაულიც მოახლოვებულია, დრო არის სალოცავად წასვლისა. წავიდეთ, ჩემო უსახლკარო ობლებო, ილიას მონასტერში. მე სულს მიხუთავს მისი სახელი, დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევს. ახალ გამშვენებულს გაახლოვებულს ცალი თვალი მაინც გადავაგლოთ, პატიოსან მამებს, ჩვენს კეთილის მყოფელთ, შენდობა ვსთხოვოთ.

—ჰმ, აი ნასკვი! რამდენი ხნის გულის ნადები! ერთ ხმად წამოილაპარაკა ბრბომ. ახლა ყველასათვის ცხადი იყო, თუ რად არ იძროდა ერთი ადგილიდან ამდენს ხანს ბელადი. თუმც ჯერ კიდევ არ იცოდნენ გარდაწყვეტით, რას ფიქრობდა კიჩეი, მაგრამ მაინც ყველანი გამოცოცხლდნენ, ყველანი

მიხვდენ, რომ რაკი ამ საქმეს შესარულებდენ, შემდეგ მათი საქმე სხვა უმჯობესს მიმართულებას მიიღებდა.

კიჩეი ხელ ახლა გადაწვას ფიქრობდა ახორებასა და გადაბუგვის შემდეგ ისევ წამოკეთებულ მონასტრისას. ამ მიზნით გამოეწყო მლოცველებივით, გაიყოლა რამდენიმე მხლებლები და გაუდგა გზას. ბოროტ მომქმედნი იმ ჰაზრს ადგენ, რომ მონასტერში კიდევ ბრწყინვალე აღდგომას დასწრებოდენ, რომ წლის თავზე განსვენებული მამების ხსენებას დასწრებოდენ, როგორც ამბობდა დაცივით ბელადი. სამი წელიწადი გულს აწვა ეს ბოღმა. სამი წელიწადი სკდილობდა ჯავრის ამოყრას, ახლა კი, როდესაც დადგა ჟამი მიზნის ასრულებისა, ბოღმა უფრო დაუმძიმდა, მოთმინება დაეკარგა. ჯოჯოხეთური ცეცხლი გადმოსცვივდა თვალთავან, როდესაც პირველად დაინახა მზის სხივებზე მოკაშკაშე განახლებული მონასტერი ფენიქსივით. მან იგრძნო, რომ მღელვარებისაგან ხელები უკანკალებდა, ფეხები ეკვეცებოდა— მონასტრის მიახლოებაზე სიარულს უკლო, რომ ამტყდარა ქარიშხალი ჩაჰქრობოდა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ მისი გამომეტყველება საშიშარი იყო და იქნება კიდევაც შეემჩნიათ მისი განზრახვა.

მიადგნენ სასტუმროს კბეს, ერთი მისი მხლებელთაგანი მივიდა მესტუმრესთან და ღამის გათევა სთხოვა.

—არ ვიცი, სწორედ, სად მოგათავსოთ, მიუგო ბერმა, —ხალხი ძალიან ბევრია. სწორეთ ღვთის წყალობაა! იშვიათად შეგხვედრივართ ასე დიდებულად პასექს. მოდიან და მოდიან. კარგი, წამომყეთ, როგორც იქნება, მოგისვენებთ.

მლოცველები მონასტერში, მართლაც, ბევრი იყო. იმ წელს პასექი უფრო გვიან იყო, ნამქრობა მოთავდა, გზები გაშრენ, მწვენიერი დარი იდგა, და ყველანი, ვისაც კი ეხერხებოდა, სკდილობდენ ესარგებლათ შემთხვევით და ვნების კვირას—აღდგომას ღვთის მსახურებით განთქმულს მონასტერში მიჰგებებოდენ.

კიჩეისათვისაც მოსახდენი იყო ამ ჟამად ხალხის სიმრავლე: ჯარში უფრო თამამად და შეუმჩნევლად იმოქმედებდა. რომ სხვა მლოცველებთაგან არაფრით არ განსხვავებულიყო და ექვი არ აელოთ, ცოტა ხანს იმანაც დაისვენა მგზავრობის შემდეგ, და მერ-

მე მონასტრის დასათვალიერებლად გასწია. რა საკვირველია დაწვა ახლაც შეიძლებოდა, ცეცხლი ახლაც დიდს ვნებას მისცემდათ, ვინაიდან უმეტესე ნაწილი შენობებისა ისევ ხის იყო, მაგრამ წინანდებურად მთლად გადაბუგვა კი არ ეხერხებოდა. პირველად, მლოცველებს გარდა აქ იყო პატარა გარეთ უბანი, რომლის მკვიდრნი, რაკი შეამჩნევდენ ცეცხლს, მაშინვე ჩაქრობდენ, მეორედ ტაძარი, თუმცა პატარა იყო, მაგრამ ქვის იყო. კიჩეი ჩაფიქრდა. რა უნდა მოეფიქრა, რა უნდა ელონა, რომ დიდი ნავენევი მოეტანა? რა საკვირველია, ის ათჯერაც გააჩენდა ცეცხლს, და ყოველთვის დიდ ზარალს მისცემდა, მაგრამ ასე არ უნდოდა ბოროტ მომქმედს. ამ დროს უეცრივ რალამაც წამოუქროლა პირის სახეზე, სიამოვნებით ჩაიცინა და აღტაცებით შუბლს ხელი შემოიკრა. „ვაშა, ვაშა, კიჩეი! ოქროა შენი თავი? ფიქრობდა გონებაში. რაღა გაქვს საფიქრალი, რაღა თავის სატეხი, როდესაც თვით საქმე ღაღადებს—თავის-თავად! ცხადია, თავდა პირველად თითონ ხატი უნდა მოისპოს. მაშინ ვნახოთ, რამდენი მლოცველები მოაწყდება, რამდენს ფულს მობოჰვენ? რა საკვირველია, იმათაც ბოლო მოეღება!“ ჯავრის ამოყრით გახალისებული ჟამსა და წუთს ითვლიდა და მიზნის აღსრულებას მოელოდა.

გაჰქრა უკანასკნელი სხივი სამრეკლოს მოყვითლულ ჯვარზედ, დადგა ბინდი. ცახედ მკრთალად, თითქოს, ვარსკვლავებიაო, გამოსჩნდენ ვარსკვლავები, მუქი ზოლი გადაერთყა ცას, გამეფდა გაზაფხულის თფილი ღამე, შემოჰკრეს თუ არა ზარს აღდგომის ცისკრისა, კიჩეი წამსვე გაეშურა ტაძარში, რათა კარგად გაეთვალისწინებია თვისი მოქმედების ადგილი; პირველი, რაც წარმოუდგა თვალ წინ საყდარში შესვლისთანავე, ეს ღვთის მშობლის ხატი იყო, რომელიც სრული ადამიანის ზომის და ხელებზე გადმოგდებულ გაშლილ ამფორით იყო გამოხატული. ქორკანდელზე ანთებული ურიცხვი სანთლების სხივებით გაბრწყინებული ღვთის მშობლის სახე მშვიდად და მოწყალების თვლით დაჰყურებდა მლოცველებს. კიჩეიმ შეხედა ხატს, მაგრამ ისე ჩქარა დაუშვა ძირს მრისხანებისაგან ანთებული თვალეები. მას მოეჩვენა, რომ ვითომ ღვთის მშობლის გამომეტყველება მას შესცქეროდა. კიჩეი თავის ქერქში ველარ გრძობდა თავის თავს, მაგრამ რამდენიმე ხანს მაინც დაჰყო ეკლესიაში, რათა დარწმუნებულ-

ლიყო, რომ მართლა ეს არის თუ არა დიდებული ხატი, რომელიც უნდა მოვსპოო. მაგრამ პირდაპირ რომ არ ეყურებინა, ის მეორე ადგილას გადავიდა და გაჩერდა ბოძთან ისე, რომ ხატი არ მოჩანდა, მხოლოდ ხედავდა კი, როგორ უნთებდნენ სანთლებს და ეამბორებოდნენ მლოცველები. ეკლესიაში ხალხს თან-და-თან ემატებოდა და ამიტომ მას არ შეეძლო მუდამ იმ ერთ ადგილას დარჩენა. კიჩეის ხან იქით გასწევდნენ და ხან აქეთ, მაგრამ საითაც არ დადგა, ღვთის მშობლის გამომეტყველება მაინც მას მისჩერებოდა. სცადა ეკლესიის მეორე მხარეს გადასვლა, მაგრამ როდესაც ხატს შეხედა, არა თუ სახე, მთელი სხეული იქით მიქცეულიყო, სადაც ის იდგა. კიჩეიმ, რასაკვირველია არ იცოდა, რომ ეს მხატვრობის საკუთარი თვისების გამო იყო, მაგრამ მისთვის ხომ სულ ერთი იყო, რისგანაც უნდა ყოფილიყო. რას შესტკეპროდა მას ეს მშვიდი თვალები? მან ვერ აიტანა ეს პირობები ცქერა და გამოვიდა გარეთ. კარებში შეხვდა ერთს მის მხლებელს და უბრძანა, რომ ლიტურგიის ასრულებამდე ყველანი თავდაჭერით, მორიდებით ყოფილიყვენ, და თავთავიანთი ადგილი მაშინ დაეკირათ, როდესაც ის ეკლესიაში შემობრუნდებოდა. რადგანაც ვეღარავის ვეღარ ენდობოდა, ამიტომ უნდოდა თითონ, თავის ხელით წაეკიდებია ცეცხლი ხატისათვის და გადაწყვეტილი ჰქონდა ლიტურგიის აღსრულების დროს შემობრუნებულიყო შიგ ისევ, შეეცადა სანამ მლოცველები გამოვიდოდნენ, მისულიყო ხატთან სამთხვევად და ამ დროს შეეგულა ხატის ხავერდის, ოქრო-მკედით ნაქარგი ფოჩვებიან ფარდაში წინდა-წინ მომზადებული საფეთქებელი მასალა, ე. ი. ნაწეწში გახვეული თოფის წამალი. ამ მასალის აფეთქება ერთი წუთის საქმე იყო და მაშინ კი მშვიდობით! ცეცხლი მოედება ფარდას, მერე კანკელს, შიგ არავინ იქნება, არც წყალი ექმნებათ მომზადებული, ხოლო სანამ მოზიდავდნენ და ხალხი თავს მოიყრიდეს—მანამ ხატის ფერფლიც კი აღარ იქნება. მოუთმენელი მოლოდინი აძაგძაგებდა, სულს უხუთავდა. რომ ხალხი არ შეყროდა და მათთან ლაპარაკს ასცდნოდა, კიჩეი გამოვიდა მონასტრიდან, ასცადა დიდ შარას გარეთ უბნისკენ და მოუარა გვერდით ირგვლივ შემოღობილ პატარა ტევრს. «უთუოდ თავიანთი სასაფლაო გაუშენებიათ», ფიქრობდა ის და მისდევდა მისკენ წვრილ ბილიკს, მართალია,


მართალი! აი იქ სამლოცველოც აუგიათ! იქნება აქ ასაფლაოიან ჩემ მიერ დამწვარი ბერები, თუ კი რამ დარჩა დასასაფლავებელი! გამარჯობათ, მამებო! აი მე კიდევ გესტუმრეთ, ქუდ-მოხდით დაუკრა თავი სამლოცველოს. მაგრამ მისი კადნიერი სალამისათვის არავის პასუხი არ გაუცია.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

26 მაისს დამტკიცებულ იქმნა აზრი სახელმწიფო რჩევისა, რომლის ძალით სახელმწიფო ხაზინისაგან მილიონნახევარი მან. გადაიდვა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების გასახსნელად და შესანახავად. წინაზე დანიშნული იყო ამავე მიზნისათვის სამ მილიონ-ნახევარი მან. გარდა ამისა, სახელმწიფო რჩევის უმაღლესად დამტკიცებული აზრის თანახმად, რომელიც გამოიწვია მიწათ-მუშაობის მინისტრის მოხსენებამ, საეკლესიო და წერა-კითხვის სკოლებს როგორც საერო განათლების უწყების სასოფლო სასწავლებლებს მიეცემათ სასარგებლოთ სახელმწიფო ადგილები და უფასოთ მიეცემათ ტყე. მიწები დაურიგდებათ სასწავლებლებს სამეურნეო და სამასწავლებლო საჭიროებისათვის. ამ სახით ახალ კანონს სახეში აქვს გააუმჯობესოს ნივთიერი მდგომარეობა სასწავლებლებისა და მასწავლებელთა და მასთან სასწავლებლებს პროგრამის გაფართოება სასოფლო მეურნეობის პრაქტიკულად შესწავლით.

\* \* \*

ჩერნიგოვის გუბერნატორის მიერ უმაღლესად წარდგენილ ანგარიშში ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ყურადღების მიქცევა ერთ ჩვეულებრივ და მასთან ძლიერ სამწუხარო გარემოებაზე—მართლმადიდებელი სასაფლაოების არა სანატრელ მდგომარეობაზე, და ამის შემდეგ შესახებ ანგარიშზე ინება დაწერა: «ეს კითხვა შეეხება მთელს რუსეთს». ამის გამო უწმ. სინოდმა, მიიღო რა სახეში, რომ სასაფლაოები რუსეთში სასულიერო მთავრობის განკარგულებაშია, დაწვლილებითი მიწერილობა გაუზგავნა სამღვდელთაგან, რომ მან იზრუნოს სასაფლაოების



გამშენიერებასა და წესიერად შენახვაზე, ხსენებული ხარჯის დასაფარავად მოუწოდოს გარეშე პირთ და სადაც შესაძლო იქნება, იხმარონ საეკლესიო და სასაფლაოს ფულები. სინოდის ამ დადგენილობის ძალით მთელს რუსეთში ჯეროვანი ყურადღება მიექცევა სასაფლაოებს, სადაც განისვენებენ ჩვენი წინაპრები.

\* \*

სამ მოსკოველს გვართ უშაკოვს, პავლოვს და შურავიევს 250,000 მანეთზე მეტი შეუწირავთ მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი წიგნთ-საცავის ასაშენებლად, რომლის შენება უკვე დაუწყიათ 8 ივლისიდან. ამ შენობისათვის ხარჯთ-აღრიცხვით დანიშნულია 400,000 მან. რა კარგი იქნება, რომ ხსენებულ შემწირველებს საზოგადო შეწირულების საქმეში ცოტათი მაინც მიბაძვდნენ ჩვენი ზოგიერთი მდიდრები.

\* \*

სოფელ ჩონთას მღვდელი მ. ლუკა ტყემალაძე მოუკლავსთ ავაზაკებს. საბრალოს თურმე ამ ერთი წლის წინად წერილი მისვლია, რომ თუ ფულებს არ გამოგვიგზავნი მოგკლავთო. მასაც აულია ხუთი თუმანი და გაუგზავნია ავაზაკებისათვის და მასთან უცნობებია ადგილობრივი პოლიციის მთავრობისათვის. მთავრობას ზომები ჰქონია მიღებული. ამ ბოლო დროს კიდევ მისვლია წერილი მ. ლუკას, რომელშიაც ავაზაკები წერდენ, რომ მთავრობა ვერ დაიფარავს თუ ფული არ გამოგვიგზავნე. თვითონ დღისით მოგივარდებით და მოგკლავთო. მართლაც ასე მომხდარა. დილის რვა საათზე შევარდნილან ავაზაკები მღვდლის ეზოში, აქ მათ სასტიკად დაუჭრიათ და მოუკლავთ მღვდელი, შემდეგ სახლში შევარდნილან და რაც უნახავთ, წაუღიათ. გამოძიება სწარმოებს.

ცოლიც სასტიკად დაუჭრიათ და პატარა ბავშვები აუწიოკებიათ. ამბობენ ამისთანა წერილი ამ ყაჩაღებს მეორე მღვდლისთვისაც გაუგზავნიათ...

\* \*

ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობა ამით აცხადებს, რომ სემინარიაში დაიწყება და-

მატებითი ეკზამენები 21 და პირველ კლასში მისაღები ეკზამენები 26 აგვისტოს.

\* \*

მცხეთის დედათა სასწავლებლის რჩევა ქალების წმიდა ნინას მონასტერში ამით აცხადებს, რომ მიღება მოსწავლთა უნცროს და უმფროს მოსამზადებელი კლასის განყოფილებაში და აგრეთვე I, II, III და IV კლასებში დაიწყება 1 სექტემბრიდან. თხოვნასთან უნდა წარადგინონ მეტრიკის გამოწერილობა წლოვანებაზე და მოწმობა ტანმრთელობისა და ყვავილის აცრისა სასწავლებელში. ასწავლიან რუსულ ენას და სიტყვიერებას, ქართულ ენას და სიტყვიერებას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, წერას, გალობას და ხელ-საქმეს. მსურველს ასწავლიან თავის ხარჯით ფრანკუზულ ენას. ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ შეუძლიათ გააგრძელონ სწავლა სხვა ქალების სასწავლებლებში. ფასი სრულ ხარჯზე 120 მანეთი და ნახევარზე 80 მან., სწავლების უფლებისათვის 20 მანეთი, პირველ მოსაწყობი 20 მანეთი.

\* \*

ბათუმში 1 სექტემბერს გაიხსნება ვაჟების გიმნაზიის მოსამზადებელი 1 და 2 კლასი.

\* \*

ქუთაისის გიმნაზიაში მოსამზადებელ და პირველ კლასში მიღების ეკზამენები იქმნება 26 და 27 აგვისტოს და დამატებითი ეკზამენები კი 21-27 აგვისტომდე.

\* \*

როგორც წინეთ გამოვაცხადეთ იმერეთის ეპარქიის ღარიბ მრევლთა დაენიშნა 17,000 მანეთი. იმერეთის ეპარქიის ღარიბ მრევლთათვის უკვე განსაზღვრულია, ვის და ვის სახელდობ რამდენი აქვს დანიშნული. რაიცა შეეხება სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებისათვის დანიშნულ ფულს, იმის განსაზღვრა მინდობილი აქვს საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორას.

\* \*

„მწყემსი“-ს რედაქციამ დაიწყო ბეჭდვა შემოკლებული ლოცვნისა, რომელშიაც მოთავსებული იქნება ხუცური და მხედრული ანბანი.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე

ფერის ცვალებად უფლისა.

ნ აგვისტოს

ეს დიდი ოდესასწაული ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე დაარსებული და მოკვავონებს ჩვენ სახარების ერთ უმთავრეს შემთხვევას, როცა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ზეციური დიდებით გამოეცხადა თავის სამ მოწაფეს. იუდეელებმა ვერ იხილეს ქრისტეში მომავალი მესია; თუმცა იგინი დიდის ბეჯითობით სწავლობდნენ საწინასწარმეტყველოებს, მაგრამ იგინი გადასხვაფერებულად ხსნიდნენ მათ აზრს და ფიქრობდნენ, რომ მომავალი მესია განთავისუფლებდა მათ სხვა თემთა მონობისგან, და აწინაურებდა მათ ქვეყნიური დიდებით და ადვილობდა ტანტსა ზედა დავათისასა. მათ ვერ გაიგეს, რომ სწინასწარმეტყველოებში ლაპარაკი იყო ქვეყნიურ მეფეზე კია არა, არამედ ზეციურ სასუფეველზე; ნათქვამი იყო არა ამა ქვეყნიურ სარგებლობაზე, არამედ საუკუნო ნეტარებაზე. თვითონ მოცქეულებაც კი, რომელთაც ირწმუნეს, რომ იესო იყო ადამიკული მესხია, მთლად თავისუფალნი არ იყვნენ მზგავსი აზრისაგან. იმათაც იმედი ჰქონდათ, რომ იესო ქრისტე აღადგენდა იზრაილებთა სამეფოს, დავობდნენ ერთ მანეთ შორის, თუ მათგან ვინ უფრო დიდ ადგილს დაიჭერდა იმ დროს, და განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ იესო ქრისტე, ძე დვთისა და მაცხოვარი ქვეყნისა, დაითიენდა წვალებს, დაამცირობას კაცთაგან. ეს მოუხერხებლად მიაჩნდათ მათ მისდიდებულებასთან.

უფალი კი ხშირად ელაპარაკებოდა ხოლმე თავის მოწაფეებს თავის ვნებაზე; იგი ამბობდა, რომ მას უარსა ჰყოფენ მღვდელ მთავრება და მწიგნობრები, იქნება მოკლულ და მესამე დღეს

აღდგება. მაცხოვრის სტუკები მწუხრები იცნებდა მოწაფეთა გულის; და პეტრემ, რომელმაც იმას წინეთ აღიარა დვთაება ქრისტესი, წამოიძახა: «დამემა დავიფაროს: ეს შენ არ შეგემთხვევა!» მაგრამ უფალმა სსტიკად უსახვედურა პეტრეს და რქვა მას, რომ ის ფიქრობს არა მასზე, რაიცა არს დვთაებრივი, არამედ რაიცა არს ქვეყნიური.

მოწაფეთან ამ საუბრის შემდეგ, უფალმა რომ განემტკიცებია სარწმუნოება მოწაფეთა და მათი გული მოემორებია ქვეყნიური ზრუნვისათვის, უჩვენა სამ მოწაფეს თავისი ზეციური დიდება. წაიყვანა თან პეტრე, იაკობი და იოანე. მათთან ერთად ადვიდა თაბორის მთაზე. იქ მოშორდა მოწაფეებს და იწყო ღოცვა; მოწაფეებს კი დაეძინათ ამ დროს. როცა გამოეღვიძათ, დაინახეს იესო ქრისტე; მისი პირის სახე ბრწყინავდა, როგორც მზე. სამოსელი მისი იყო სპეტაკ და თეთრი, როგორც თოვლი და ბრწყინავდა არა ჩვეულებრივ მზესავით; ქრისტესთან იყო ორი კაცი, რომელიც ბრწყინავდნენ დიდებთ. ისინი იყვნენ მოსე და ილია; ისინი ესაუბრებოდნენ უფალს მის მომავალ ვნებაზე და სიგდილზე, რომელიც მოელოდა მას იერუსალიმში. პეტრემ, რომელიც გაოცებული იყო ამ სინახობით, რქვა იესოს: უფალო, ჩვენ ძალიან კარგადა ვართ აქ და თუ გნებავს, სამ კარავ გავაკთებთ: ერთს შენთვის, ერთს მოსესათვის და ერთს ილიასათვის. როცა პეტრე ამას ლაპარაკობდა, უეცრად გამოჩნდა ბრწყინვალე ღრუბელი და დაფარა იგინი. და ღრუბლიდან მოისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ». მოცქეულები შშისაგან პირქვე დაეცენ; მაგრამ უფალი შეეხო მათ და რქვა: „აღსდგით, ნუ გემინათ!». და როდესაც აღსდგენ, მხოლოდ იესო ქრისტე დაინახეს მისი ჩვეულებრივი სახით. ისინი ჩამოვიდნენ მთიდან; უფალმა უბრძანა მოწაფეებს არავისათვის არ ეთქვათ, რაც მათ იხილეს, ვიდრემდის იგი არ აღსდგებოდა მკვდრეთით.

ამ შემთხვევას უნდა განემტკიცებია მოწაფეების სარწმუნოება და დაეფარა ისინი მეწიერების და იჭვისაგან, როცა იხილავდნენ ქრისტეს წვალებს. მათ ესმათ ხმა თვით დვთისაგან; ძველ

ადტქმის ორმა უმთავრესმა წარმომადგენელმა მოსემ და ილიამ, თვისი გამოცხადებით, დაამოწმეს, რომ იესო იყო ნამდვილად ის, რომელზედაც უჩვენებდნ წინასწარმეტყველნი. ზეციური დიდების დაფარულნი, ეს წმიდა მამანი ებასებოდნ იესო ქრისტეს მის მაცხოვარებითი ვნებასა და სიკვდილზე. დახოლოს ამ სასწაულებრივ გამოცხადებას უნდა შეეცვალა მოციქულ-

და სასოწარკვეთილებას, როცა იესო ქრისტე საწვალეზად წაიყვანეს. ეს გვიმტკიცებს ჩვენ, თუ როგორი სუსტია გაცი და ამიტომ იგი მუდამ უნდა ევედრებოდეს დმერთს შეწევნას; და უფალიც მუდამ მზათ არის შეეწიოს მათ, რომელნიც ჭეშმარიტად მსახურებენ მას.

შევევედროთ უფალსა, რომ მან განანათლოს გულნი ჩვენნი; ვეცადოთ, რომ თავი დავა-



ფორის-ცვალება უფლისა

ბ-ს ფიქრი ქვეყნიურ დიდებაზე, ვინაიდან ამ გამოცხადებით ივინი შეიქნენ მოწამენი ქრისტეს ზეციური დიდებისა. მაგრამ, როგორც ვხედავთ სახარებიდან, მოწაფეები ამის შემდეგაც ირუოდნ და შიშობდნ; ისინი მიეცენ მოწუენილობას

ნებოთ ამა ქვეყნიურ სარგებლობაზე ზრუნვას, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, ასე ბევრს ვზრუნავთ და უმეტესად ვიფიქროთ და ვიზრუნვოთ ზეციურზე. ვეცადოთ მივუვით მას, რომელზედაც უფალმა დმერთმა რქვა: «ესე არს ძე



ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ; და ნუ შევშო-  
ფოთდებით, თუ ამ გზაზე შეგვხვდეს ჩვენ წვა-  
ლება და ნაკლებობა. თვით ქრისტიემ რქვა:  
„რომელსა უნდეს შემოდგომა ჩემდა, უარ ჰყუ-  
თავი თვისი და ადიდე ჯვარი შენი და შემომი-  
დექი მე“ (მათ. XVI, 24). ეს არის ერთად ერთი  
ჭემმარიტი გზა, რომელსაც მიჰყავს კაცი ცხოვ-  
რებისადმი, ცხოვრებისადმი და საუკუნო სიხარუ-  
ლისადმი.

მართლ-მადიდებელი ეკლესია დიდის დღე-  
სასწაულობით ასრულებს უფლის ფერისცვა-  
ლების ხსენებას; და ეს დღესასწაულია ერთი  
ათორმეტ საუფლო დღესასწაულთაგანა. ამ დღეს  
დღთის მსახურებას დროს აკურთხებენ ხოლმე  
ხილს. ეს გვიპტიცებს ჩვენ, რომ ყოველვე  
ეკუთვნის უფალსა და ჩვენ დიდი მადლობით  
უნდა ვსარგებლობდეთ მისი მოწყალებით.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ  
კვირულ გამოცემათა შარითულს

# „მწყემს“ -ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე  
ქუ რ ნ ა ლ ის ფ ა ს ი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.  
— „რუსული „ 3 მ. | — „რუსული „ 2  
— „ორივე გამოცემა 5 | — „ორივე გამოცემა 3

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
ევირაღაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის  
მალაზიაში, ბ. შიო ქუჭუკაშვილთან. ფოთში — დეკა-  
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — ყარაჩან  
ჩხვიციხთან; სხაღვინეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან.  
სხაღვინეში — სასულიერო სასწავლებლის მასწავლე-  
ბელ სპირდონ ან. მაჭარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და დარბით გაზეთები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.  
რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-  
ბის სახლებში და ევირაღაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

ბარემე მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიან  
ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

ამაჲო საავათმყოფო ავხულატორიითუტო

## ს. ბ. თოფურისი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი  
ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით  
ავათმყოფთათვის. მუწუყებიანი და გადამდები სენით  
ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფ-  
ნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3  
საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფების მიიღებს  
მძ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით  
მძ. ფ. კ. შარაბაძი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი  
მძ. მ. ფ. კახანი.

თვალების ავათმყოფისათვის  
მძ. ი. კ. შარვაშვილი.

ჩჩევა დარბების ფასი 50 კ., კონსი-  
ლიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სა-  
ავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით  
2—3 მანეთამდე. აზერბაიჯანის ფასი გარბეებაზეა.  
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

### ზ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: არ მოსპობილა,  
მადლობა დმერთს, და აღარც მოისპობა! — სიტყვა, თქმული უწ.  
სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის ვ. კ. საბლერის მიერ  
პეტერბურგში პედაგოგიურ კურსებზე საეკ.-სამრევლო სკოლე-  
ბის მასწავლებელთა მოვალეობის შესახებ. — არიან პატროსანი  
და კეთილი კაცებიც. — წერილი „მწყემსი“-ს რედაქციის მი-  
მართ სახალინიდან. — ავაზაკი კიჩეი. — ახალი ამბები და  
შენიშვნები.

სწავლა და მცენიერება ჭრისტიანობაივ სარწმუ-  
ნოებასა და კეთილ-წემოებაზე: ფერისცვალება უფლისა.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 августа 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в с ъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.